წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი №12

ქ.წალენჯიხა 2020 წლის 11 აგვისტო

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დარეჯან დადიანი

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 17 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, დავით ფიფია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, თეა ხასაია, ნონა მიქავა, დათა აკობია.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: ცოტნე მესხია, ვალერიანე კვარაცხელია, ანზორ ძაძამია, კახაბერ ჯოლოხავა, ვლადიმერ კვარაცხელია, დათა კუკავა, ბაჩუკი უბილავა, ნონა გუჩუა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

აქედან საპატიო მიზეზით საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: ვალერიანე კვარაცხელია, ანზორ ძაძამია, ელგუჯა მესხია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ლაშა ჭანია, საკრებულოს და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.

სხდომა დასრულდა: 12: 20 სთ.

კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით სხდომა ჩატარდა დისტანციურად , ყველა სათანადო ნორმების დაცვით.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-21 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის #34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გელა სალია- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

მოისმინეს : 1. ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-21 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის #34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრემა დავით ბელქანიამ აღნიშნა, რომ საჭიროა მერიის მხრიდან საკრებულოს წევრების ინფორმიერება მუნიციპალიტეტში თუ რა ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს და რა სტადიაშია .

დავით ბელქანიამ პირველ მოადგილეს მიმართა თუ როდის ჩაირთვება ოჭანეს უბანში გარე განათება.

ლაშა ჭანიამ აღნიშნა, რომ პროექტში გათვალისწინებული არ იყო დენის გადასახადი, უახლოეს დღეებში აღნიშნული პრობლემა მოგვარდება.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 17 დეპუტატი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N24).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **დარეჯან დადიანი**